

**შპს “აა პლასტი”
ფინანსური ანგარიშგება**

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს

შპს “აა პლასტი”

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

1. შესავალი.....	5
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.....	8
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.....	9
5. ძირითადი საშუალებები.....	10
6. სასაქონლო მატერიალური მარაგი.....	10
7. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
9. მიღებული სესხები.....	11
10. თვითღირებულების ხარჯი.....	11
11. მოგების გადასახადი.....	11
12. პირობები და ვალდებულებები.....	12
13. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები.....	12
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	12

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარი)

	31/12/2019	31/12/2018	შენიშვნის ნომერი
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	180,980	96,954	7
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,560,319	2,293,841	
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	246,763	246,763	
ნეტ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,313,556	2,047,078	8
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	64,598	70,591	6
საქონელი და მზა პროდუქცია	152,889	399,923	
ნედლეული და მასალები	1,275,049	2,332,092	
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	
სულ მიმდინარე აქტივები	3,987,072	4,946,638	
გრძელვადიანი აქტივები			
მანქანა-დანადგარები და ტრანსპორტი	2,430,124	2,386,925	5
აკუმულირებული ცვეთა	898,231	657,119	
მანქანა-დანადგარები და ტრანსპორტი	1,531,893	1,729,806	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8,444	7,800	
აკუმულირებული ცვეთა	3,562	2,731	
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4,882	5,069	
არამატერიალური აქტივები	2,327	1,326	
აკუმულირებული ამორტიზაცია	697	473	
არამატერიალური აქტივები	1,630	853	
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,538,405	1,735,728	
სულ აქტივები	5,525,477	6,682,366	
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1565197	2,288,166	
გადასახდელი ხელფასები	-	-	
საგადასახდო ვალდებულებები	83676	-113,552	
მიღებული ავანსები	33442	84,343	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	-	
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,682,315	2,258,957	
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,914,126	2,557,623	9
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,914,126	2,557,623	
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	200	200	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	
გაუნაწილებელი მოგება	1,928,836	1,865,586	
რეზერვები და დაფინანსება	-	-	
სულ საკუთარი კაპიტალი	1,929,036	1,865,786	
	5,525,477	6,682,366	

ხელმოწერი პირები:

ლევან ბიწაძე
დირექტორი

30 სექტემბერი 2020

მამუკა მანიუაშვილი
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო



შპს "აა პლასტი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(ლარი)

ნეტ შემოსავალი რეალიზიციიდან სხვა საოპერაციო შემოსავლები	11,452,991 -	
საოპერაციო შემოსავლები რეალიზ. პროდ. თვითღ.	11,452,991 9,841,341	10
შეიცავს: ძირითადი მასალების და სხვა პირდაპირი დანახარჯები პირდაპირი ხელფასი	9,147,662 693,679	
საერთო მოგება	1,611,650	
საოპერაციო ხარჯები შრომის ანაზღაურება მიწის ბირთვების ხარჯი საპენსიოს ხარჯი კომუნალური ხარჯი ტრანსპორტირების ხარჯი რემონტი დაზღვევა საიჯარო ქირა პროფესიული მომსახურების ხარჯი ბანკის მომსახურების ხარჯი სხვა საგადასახადო ხარჯი საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯი დაცვის ხარჯი სხვა საოპერაციო ხარჯი სულ საოპერაციო ხარჯები	247,548 - 15,969 27,152 32,935 710 20,683 7,200 677 15,616 9,081 - 3,051 57,885 438,507	
EBITDA	1,173,143	
ცვეთა და ამორტიზაცია	11,353	
EBIT	1,161,790	
საპროცენტო ხარჯი ზარალი (მოგება) კურსთაშორისი სხვაობიდან ზარალი (მოგება) სესხის გადაფასებიდან საპროცენტო შემოსავალი ჯარიმები სხვა არასაოპერაციო შემოსავალი სხვა არასაოპერაციო ხარჯი სულ არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი EBIT	180,473 110,182 115,353 - - -50,718 549 355,839 805,951	
მოგების გადასახადი წმინდა მოგება (ზარალი)	111,503 694,448	11

ხელმოწერილი პირები:

ლევან ბიწაძე

დირექტორი

30 სექტემბერი 2020

მამუკა მანიჭაშვილი

მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო



შპს "აა პლასტი"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(ლარი)

საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	1,865,786
დამატებითი ინვესტიციები	-
პერიოდის მოგება/ზარალი	694,448
გამოცხადებული დივიდენდები	631,198
ცვლილება რეზერვებში და დაფინანსებაში	-
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1,929,036

ხელმოწერილი პირები:

ლევან ბიჭაძე
 დირექტორი

30 სექტემბერი 2020

მამუკა მანიჭაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო



შპს "აა პლასტი"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ლარი)

ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივობებიდან	
პერიოდის მოგება/ზარალი	694,448
ცვეთა და ამორტიზაცია	242,167
საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯი	-
ზარალი (მოგება) სესხის გადაფასებიდან	115,353
ცვლილება მიმდინარე მოთხოვნებში	-260,485
ცვლილება საქონელი და მზა პროდუქცია	247,034
ცვლილება ნედლეული და მასალები	1,057,042
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	0
ცვლილება მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში	-722,971
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	146,328
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,518,916
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	-43,842
ფულადი ნაკადები სხვა საინვესტიციო საქმიანობიდან	-1,001
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-44,843
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
ცვლილება სასესხო ვალდებულებებში	-758,850
ინვესტიცია საწესდებო კაპიტალში	0
გადახდილი დივიდენდი	-631,197
სულ ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	-1,390,047
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	96,954
პერიოდის ფულადი ნაკადები	84,026
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	180,980

ხელმოწერი პირები:

ლევან ბიწაძე
დირექტორი

30 სექტემბერი 2020

მამუკა მანიჭაშვილი
მთავარი ბუღალტერი

თბილისი, საქართველო



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "აა პლასტი" (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2007 წლის 02 თებერვალს. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს პოლიეთილენის ნედლეულის იმპორტი, გადამუშავება და რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ქვემო ალექსეევკის დასახლება. კომპანიის მფლობელები არიან: 1) ნიკოლოზ პატარიძე (60002000764) 50 % 2). გულადა აბიშოვი (C00776613 აზერბაიჯანი) 50%.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6727
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0597

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ანგარიშგების წარდგენის მიზნით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

მენეჯმენტი ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული წინასწარ ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რამდენადაც ის არ შეიცავს შესაძლო ფინანსურ ინფორმაციას, ამიტომ არ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, ოპერაციების შედეგების და ფულადი ნაკადების მოძრაობის სამართლიან წარდგენას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური ანგარიშგებების სრული კომპლექტის საშუალებით, რომელშიც ასევე მოცემული იქნება შესაძარბელი ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებით, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10

ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება იმ პერიოდში როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა, ან პროდუქციის მიწოდება, რადგან კონტროლის გადაცემა ხდება ტრანზაქციის დღეს.

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის საქონლისთვის, ფასდათმობის უკან დაბრუნების და დამატებული ღირებულების გადასახადების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში და გამოიანგარიშება გაცემული დივიდენდებიდან.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძენის სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი,

რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა.

5. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	საავტომობილო საშუალებები	ჯამი
2019 წლის 1 იანვარი	-	2,318,157	31,138	45,430	2,394,725
შემოსვლა	-	40,813	3,030	-	43,843
გასვლა	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	2,358,970	34,168	45,430	2,438,568
აკუმულირებული ცვეთა					
2019 წლის 1 იანვარი	-	639,929	7,766	12,156	659,851
ცვეთის ხარჯი	-	234,153	3,247	4,543	241,943
გასვლა	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	874,082	11,013	16,699	901,794
მიმდინარე ღირებულება					
2019 წლის 1 იანვარი	-	1,678,228	23,372	33,274	1,734,874
2019 წლის 31 დეკემბერი	-	1,484,888	23,155	28,731	1,536,774

6. სასაქონლო მატერიალური მარაგი

მატერიალური ფასეულობები	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ნედლეული და მასალები	1,275,049	2,332,091
საქონელი და მზა პროდუქცია	152,889	399,923
სულ მატერიალური ფასეულობები	1,427,938	2,732,014

2019 წლის განმავლობაში 8,528,339 ლარის ღირებულების მარაგები გაიხარჯა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით ჩამოიწერა თვითღირებულებაში.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ფული სალაროში	165,690	92,528
ფული ბანკში	15,290	4,427
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	180,980	96,954

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,560,319	2,293,841
ავანსები	64,598	70,591
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(246,763)	(246,763)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,624,917	2,117,670

9. მიღებული სესხები

ორგანიზაცია	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სს „თიბისი ბანკი“	01.06.2017		6,5 %	USD	0	610021.84
სს „თიბისი ბანკი“	01.06.2017		6,3 %	EUR	0	47090
სს „თიბისი ბანკი“	29.05.2018	01.06.2019	8 %	USD	0	25529.23
სს „თიბისი ბანკი“	01.06.2017		12,5 %	GEL	0	711935.87
სს „თიბისი ბანკი“	20.05.2019	26.09.2021	7 %	USD	354539.08	0
სს „თიბისი ბანკი“	20.05.2019		6,5 %	USD	97079.95	0
სს „თიბისი ბანკი“	20.05.2019		10,75 %	GEL	350000	0
სს „თიბისი ბანკი“	20.05.2019		10,75 %	GEL	269018,26	0

10. თვითღირებულების ხარჯი

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2019
ნედლეულის ხარჯი	8,528,339
დანადგარების ცვეთის ხარჯი	230,814
ხელფასები	693,679
სხვა ხარჯი	388,509
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9,841,341

11. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

12. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

13. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

ცხრილში მოცემულია გარიგებების ღირებულებები, რომლებიც დიდო დაკავშირებულ მხარეებთან.

ფინანსური	ურთიერთობის სახე	31.12.2019	01.01.2019
ანგარიშგების არე			
სავაჭრო მოთხოვნები		მხარეთა ბალანსები	
შპს თელა პლასტი	(ნედლეული და მასალები)	241805.09	360542.14
გადახდილი ვანსები			
სს სანტექმონტაჟნაკეთობა	(ფართის იჯარა)	18329.33	27669.95
სავაჭრო ვალდებულებები			
შპს კავკასუს პოლიმერი	(ნედლეული და მასალები)	54837.50	214997

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა